ხელშეკრულება №170

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ჭიათურა 2011 წლის 28 ნოემბერი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ სსიპ თვითმმართველი ერთეული ჭიათურის მუნიციპალიტეტი, მისამართი: ჭიათურა, ნინოშვილის ქ.№7, ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის იასონ ჭუმბურიძის სახით, შემდგომში „შემსყიდველი“ და მეორეს მხრივ ინდ. მწარმე „მერაბ გელაძე“. მისამართი: ტყიბული, ბარათაშვილის ქ. №52, შემდგომში „მიმწოდებელი“.

2.ხელშეკრულების საგანი

2.1. ჭიათურის მუნიციპალიტეტისათვის ტრაქტორის დანის შეძენის გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვა, კლასიფიკატორის კოდი 16720000.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 3500 (სამი ათას ხუთასი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შეძენასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს

4. მხარეთა ვალდებულებები

„მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას:

4.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში განახორციელოს შემსყიდელისათვის საქონლის მიწოდება.

4.2. მიაწოდოს შემსყიდველს არანაკლებ 1 წლიანი საგარანტიო ვადის მქონე ხარისხიანი საქონელი

4.3. „შემსყიდველის" მოთხოვნის შემთხვევაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ წარუდგინოს მას ინფორმაცია.

„შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას:

4.4. დროულად გადარიცხოს თანხები „მიმწოდებლის" ანგარიშზე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად

5. მხარეთა უფლებები

„შემსყიდველს" უფლება აქვს

5.1. აწარმოოს მიწოდებული საქონლის ხარისხისა და მოცულობის კონტროლი, საქონლის მიწოდების ნებისმიერ ეტაპზე.

„მიმწოდებელს" უფლება აქვს

5.2. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

6. ანგარიშსწორება

6.1. მხარეთა შორის მოხდება უნაღდო ანგარიშსწორება

6.2. თანხა გაიცემა „მიმწოდებლის" მიერ შესაბამისი საფინანსო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე.

7. დაუძლეველი პირობები

7.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის დაუძლეველი პირობების შედეგი.

7.2. დაუძლეველი პირობების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება მეორე მხარეს ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობების მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ასეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან დაუძლეველი პირობების ზეგავლენისაგან.

8. ხელშეკრულებების პირობების გადასინჯვა

8.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია ერთი კვირით ადრე. ამავე დროს "შემსყიდველი" არ არის ვალდებული წარუდგინოს „მიმწოდებელს" რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელთა გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1. „შემსყიდველმა" და "მიმწოდებელი" ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი მოლაპარაკების პროცესში მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

9.2. თუკი ასეთი მოლაპარაკების გზით "შემსყიდველი" და "მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია დავის გადაწყვეტის მიზნით დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 5 დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეებიშეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

11. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

11.1. ხ ელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის კონტროლს განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

11.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. დაუძლეველი პირობების გარდა, მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქცია: ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის მომწოდებელი ჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,1% ოდენობით.

12.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს შემსრულებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან..

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან.

13.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2011 წლის 15 დეკემბრამდე.

14. დამატებითი პირობა

14.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლიარად (2 გვერდზე) და თითოეულ მათგანს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

14.2. ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

15. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სსიპ თვითმმართველი ერთეული ჭიათურის მუნიციპალიტეტი	**ინდ. მეწარმე „მერაბ გელაძე"**
მისამართი: ჭიათურა, ნინოშვილის ქ.№7 საიდენტიფიკაციო კოდი 215609544 სს „პრივატბანკის" ჭიათურის სერვისცენტრი ბანკის კოდი CAVOGE22 ანგარიშის № GE86TP0033030020000003 ტელ: (8 479) 25 25 55	მისამართი: ტყიბული, ბარათაშვილის ქ. №52 საიდენტიფიკაციო კოდი 41001000844 სს „საქართველოს ბანკის" ტყიბულის ფილიალი ბანკის კოდი BAGAGE22 ანგარიშის №GE63BG0000000298419400 ტელ: 599 41 08 13
საკრებულოს თავმჯდომარე **ალასონ ჭუმბურიძე**	**ინდ. მეწარმე** **მერაბ გელაძე**